



თბილისი

25 ივნისი 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 78-19

აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.10.6 პუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2016 წლის 23 დეკემბრის №03-16 ოქმის დანართი №1), "აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების" მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის, (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2016 წლის 23 დეკემბრის №03-16 საოქმო გადაწყვეტილებით) "უმაღლესი განათლების შესახებ" 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 24 ივნისის №75-19 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის საოქმო გადაწყვეტილებისა (№ 01-19, 2019 წლის 24 ივნისი) და შუამდგომლობის (№135, 2019 წლის 25 ივნისი) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 15 მაისის №64-19 ბრძანებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის და 2019 წლის 24 ივნისის ჩატარებული (ოქმი № 01-19, 2019 წლის 24 ივნისი) ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე, დაინიშნონ:

სამართლის ფაკულტეტი:

1. კერძო სამართლის მიმართულებით:

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

ნინო ლიპარტია

2. საჯარო სამართლის მიმართულებით

ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე:

გიორგი სიორიძე

3. კერძო სამართლის მიმართულებით

ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე:

პარამჯიიტ სინგჰ ბერვალ

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:


1. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით

ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

ნინო ოხანაშვილი

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება დადგენილი წესით და ამ ბრძანებით განსაზღვრული ცვლილებების ასახვა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში დაუყოვნებლივ, მაგრამ ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.
4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობის ორგანოში ბრძანების ოფიციალური წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში (მის.: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3).

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე